თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ო ქ მ ი № 06

29 მაისი 2023 წ. **ქ. თელავი**

სხდომას ესწრებოდნენ: 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 33 დეპუტატი :

თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, თავმჯდომარის პირველი მოადგილე

მამუკა ბურდიაშვილი;

ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები:	**ალექსანდრე შათირიშვილი;**
	მიხეილ დაღუნდარიძე;
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე	**ზურაბ ლილუაშვილი;**
საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	**ლევან ბერძენაშვილი;**
საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე	**გიორგი ხაჭაპურიძე;**
საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	**თინათინ ხანჯალიაშვილი;**
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე	**ლევან კოჭლოშვილი;**
საკრებულოს ფრაქციის „ქართული-ოცნება დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე	**დავით ღაღანიძე;**
საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე	**ბაადურ რევაზიშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის **„ქართული-ოცნება დემოკრატიული საქართველო“** თავმჯდომარის მოადგილეები: **ზურაბ მოსახლიშვილი, ზაზა ტატულიშვილი, ზურაბ მუსაევი, ოთარ ესიტაშვილი, თამარ ხატიაშვილი, უჩა ჭოტიაშვილი.**

საკრებულოს ფრაქციის **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“** თავმჯდომარის მოადგილეები: **გიგი გიგიტელაშვილი, გელა ჭვრიტიძე, ეთერი გურგენაშვილი.**

საკრებულოს წევრები: **ივანე კირვალიძე, გივი ლაფაური, ეკატერინე ონიკაძე, გიორგი ქართლელიშვილი, მარიამ ლილუაშვილი, ალექსი ძულიაშვილი, ბაადურ გულიაშვილი, ნინო ომანიძე, იმედა კევლიშვილი, ივანე დალაქიშვილი, რუსუდანი იმერლიშვილი, რამაზი ჩეკურიშვილი, ალექსანდრე კუპატაძე, გელა ესიტაშვილი,** (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე **ნიკოლოზ მეტრეველი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **ფიქრია ყუშიტაშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ნათია ვაყელიშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **ზურაბ სახიაშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურის და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი **თედო ხოსროშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურდიული სამსახურის უფროსი **ანა ფეიქრიშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურის და ძეგლთა დაცვის სამსახურის ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსი **ლია ალადაშვილი;**

N10 ოლქის თელავის, ახმეტის, ყვარლის და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტების მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ირაკლი ქადაგიშვილის ბიუროს თანამშრომელი **ნონა გოგატიშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე;**

საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები;

მოქალაქეები: მაკა მოსიაშვილი, არჩილ მჭედლიშვილი, კახა სუხიტაშვილი

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის კომისიის თავმჯდომარემ **ლ.კოჭლოშვილმა** მოითხოვა სხდომის დღის წესრიგის პროექტიდან საკითხის „თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ახატლის N2 ქუჩისათვის გამონაკლისის წესით ანზორ ჯაფარიძის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის შესახებ“ ამოღება, რადგან ვერ მოხერხდა სიტუაციური ნახაზის მომზადება,რაც წარმოშობს გარკვეულ კითხვებს.

ა.მჭედლიშვილმა და **გ.გიგიტელაშვილმა** მოითხოვა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების შემდგომ განცხადების გაკეთების უფლება.

აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით **დღის წესრიგი** დამტკიცდა შემდეგი სახით:

<u>**დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:**</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N22 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“.

   მომხ. ნ.ვაყელიშვილი
   12.00სთ-დან-12.20სთ-მდე

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N22 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“ - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

   მომხ. ნ.ვაყელიშვილი
   12.20სთ-დან-12.30სთ-მდე

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის N04 განკარგულებაში„თელავის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე;

   მომხს. ფ.ყურშიტაშვილი
   12.30სთ-დან-12.40სთ-მდე

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის N21 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე- ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

   მომხს. ფ.ყუშიტაშვილი
   12.40სთ-დან-12.50სთ-მდე

5. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 თებერვლის N10 განკარგულებაში „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე;

   მომხს. ნ.მეტრეველი
   თანამომხ. თ.ხოსროშვილი
   12.50სთ-დან-13.00სთ-მდე

6. „ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი (CESL)“ პროგრამის ფარგლებში გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ გამოცხადებულ კონკურსზე განსახილველად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის საპროექტო იდეების მოწონების შესახებ.

მომხს. ლ.ალადაშვილი
13.00სთ-დან -13.10სთ-მდე

7. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 30 მარტის N08 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს.ნ.მეტრეველი
თანამომხს. ა.ფეიქრიშვილი
13.10სთ-დან -13.20სთ-მდე

8. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (ავტოსატრანსპორტო საშუალება) საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს.ნ.მეტრეველი
თანამომხს. ზ.სახიაშვილი
13.20სთ-დან -13.30სთ-მდე

9. მდგრადი განვითარების მიზნების თელავის მუნიციპალური დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.

მომხს.ნ.მეტრეველი
თანამომხს. ა.ფეიქრიშვილი
13.30სთ-დან -13.40სთ-მდე

10. თელავის მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის, ავტობუსების გაჩერებებზე მოდერნიზირებული და ენერგოეფექტური მოსაცდელების მოწყობის ორგანიზების შესახებ თემატური მოკვლევის დაწყების და მოკვლევის ჯგუფის დანიშვნის შესახებ.

მომხს. ლ.კოჭლოშვილი
13.50სთ-დან -14.00სთ-მდე

11. თელავის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022 წლის სამუშაო გეგმის შესრულების ანგარიშის შესახებ.

მომხს. ნ.აბეჩხრიშვილი
14.00სთ-დან -14.10სთ-მდე

დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

<u>1.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N22 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხ. ნ.ვაყელიშვილი
12.00სთ-დან-12.20სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: **ბ.გულიაშვილმა** დასვა კითხვა მუნიციპალიტეტის ავტოსატრანსპორტო საშუალებების რაოდენობის ზღვრულ ოდენობასთან დაკავშირებით.

ლ.კოჭლოშვილმა ისაუბრა ძველი სატრანსპორტო საშუალებების გასხვისების და მათ ნაცვლად ახალი ტრანსპორტის შესყიდვის მიზანშეწონილობაზე.

გ.გიგიტელაშვილმა კი აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტს არ უნდა ქონდეს იმაზე მეტი ტრანსპორტი, რაც დადგენილი ნორმაა.

შეკითხვებთან დაკავშირებით **მომხსენებელმა** აღნიშნა, რომ სატრანსპორტო საშუალებები ყოველდღიურად ნაწილდება მერიის უფლებამოსილების განსახორციელებლად პრიორიტეტების მიხედვით.

დაადგინეს: **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **21 (ოცდაერთი)** წევრმა.

წინააღმდეგი 01(ერთი) წევრი - ი.კევლიშვილი.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 11 (თერთმეტი) წევრმა: ა.ძულიაშვილმა, ი.დალაქიშვილმა, რ.ჩეკურიშვილმა, ა.კუპატაძემ, ნ.ომანიძემ, რ.იმერლიშვილმა, ე.გურგენაშვილმა, გ.გიგიტელაშვილმა, ბ.გულიაშვილმა, გ.ჭვრიტიძემ, ბ.რევაზიშვილმა.

2.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N22 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“ - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხ. ნ.ვაყელიშვილი
12.20სთ-დან-12.30სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: **გ.გიგიტელაშვილმა** დასვა საკითხი სოფელ კურდღელაურში მინი მოედნის ხელოვნური საფარის შეცვლისთვის თანხების მობილიზების აუცილებლობაზე და ბიუჯეტში ასახვაზე.

გადაწყვიტეს: **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **29(ოცდაცხრა)** წევრმა.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 04 (ოთხი) წევრმა: ნ.ომანიძემ, რ.ჩეკურიშვილმა, ი.დალაქიშვილმა, გ.ჭვრიტიძემ.

3.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის N04 განკარგულებაში„თელავის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხს. ფ.ყურშიტაშვილი
12.30სთ-დან-12.40სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: **ბ.რევაზიშვილმა** აღნიშნა, რომ ფრაქციას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ არ ქონდა საშუალება დასწრებოდა წარმატებული მოსწავლეების დაჯილდოვების ცერემონიალზე.

ა.მჭედლიშვილმა დასვა კითხვა არქეოლოგიურ ბანაკთან დაკავშირებით თუ რამდენად ამართლებს აღნიშნული პროგრამა თავის დანიშნულებას.

ი.კევლიშვილმა აღნიშნა, რომ არქეოლოგიურ ბანაკში უნდა ჩაერთონ ისტორიის პედაგოგები.

შეკითხვებთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა მომხსენებელმა,

<u>გადაწყვიტეს:</u> **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **28 (ოცდარვა)** წევრმა.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 05(ხუთი) წევრმა: რ.იმერლიშვილმა, ე.გურგენაშვილმა, ნ.ომანიძემ, გ.ჭვრიტიძემ, ი.კევლიშვილმა.

<u>4.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის N21 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე- ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. ფ.ყუშიტაშვილი
12.40სთ-დან-12.50სთ-მდე

<u>გადაწყვიტეს:</u> **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **31 (ოცდათერთმეტი)** წევრმა.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 02(ორი) წევრმა: გ.ჭვრიტიძემ, ნ.ომანიძემ.

<u>5.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 თებერვლის N10 განკარგულებაში „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხს. ნ.მეტრეველი
თანამომხ. თ.ხოსროშვილი
12.50სთ-დან-13.00სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **ბ.გულიაშვილმა** დასვა კითხვა სოფელ ვანთისათვის სპორტული ინვენტარის შესყიდვასთან დაკავშირებით.

<u>გადაწყვიტეს:</u> **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **30(ოცდაათი)** წევრმა.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 03(სამი) წევრმა: ნ.ომანიძემ, ა.ძულიაშვილმა, ი.კევლიშვილმა.

6.მოისმინეს: „ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი (CESL)“ პროგრამის ფარგლებში გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ გამოცხადებულ კონკურსზე განსახილველად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის საპროექტო იდეების მოწონების შესახებ.

მომხს. ლ.ალადაშვილი
13.00სთ-დან -13.10სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: **ბ.რევაზიშვილმა** დასვა კითხვა საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებების ლოკაციებთან დაკავშირებით.

ბ.გულიაშვილმა აღნიშნა, რომ თემატური მოკვლევის ჯგუფმა უნდა დაადგინოს საჭიროა თუ არა მოდერნიზებული და ენერგოეფექტური მოსაცდელების მოწყობა. საკითხის მხარდაჭერით კი ჩვენ წინ ვუსწრებთ მოვლენებს.

ლ.კოჭლოშვილმა კი აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტმა არ უნდა დაკარგოს ფინანსები, რომელიც გათვალისწინებულია კონკურსის ფარგლებში.

გ.გიგიტელაშვილმა აღნიშნა, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებების საკითხი ქ.თელავთან ერთად განხილული უნდა იყოს სოფლების ტერიტორიებზეც.

გადაწყვიტეს: **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **28(ოცდარვა)** წევრმა.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 05(ხუთი) წევრმა: ნ.ომანიძემ, ა.კუპატაძემ, რ.ჩეკურიშვილმა, ი.კევლიშვილმა, გ.ჭვრიტიძემ.

7.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 30 მარტის N08 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს.ნ.მეტრეველი
თანამომხს. ა.ფეიქრიშვილი
13.10სთ-დან -13.20სთ-მდე

გადაწყვიტეს: **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **29(ოცდაცხრა)** წევრმა.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 04(ოთხი) წევრმა: ა.ძულიაშვილმა, ი.კევლიშვილმა, ნ.ომანიძემ, გ.ჭვრიტიძემ.

8.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (ავტოსატრანსპორტო საშუალება) საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს.ნ.მეტრეველი
თანამომხს. ზ.სახიაშვილი
13.20სთ-დან -13.30სთ-მდე

გადაწყვიტეს: **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **26(ოცდაექვსი)** წევრმა.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 07(შვიდი) წევრმა: ა.ძულიაშვილმა, ი.კევლიშვილმა, ა.კუპატაძემ, რ.ჩეკურიშვილმა, ნ.ომანიძემ, გ.ჭვრიტიძემ, ი.დალაქიშვილმა.

9.მოისმინეს: მდგრადი განვითარების მიზნების თელავის მუნიციპალური დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.

მომხს.ნ.მეტრეველი
თანამომხს. ა.ფეიქრიშვილი
13.30სთ-დან -13.40სთ-მდე

გადაწყვიტეს: **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **31 (ოცდათერთმეტი)** წევრმა.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 02(ორი) წევრმა: რ.ჩეკურიშვილმა, ნ.ომანიძემ.

10.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის, ავტობუსების გაჩერებებზე მოდერნიზირებული და ენერგოეფექტური მოსაცდელების მოწყობის ორგანიზების შესახებ თემატური მოკვლევის დაწყების და მოკვლევის ჯგუფის დანიშვნის შესახებ.

მომხს. ლ.კოჭლოშვილი
13.50სთ-დან -14.00სთ-მდე

გადაწყვიტეს: **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **32 (ოცდათორმეტი)** წევრმა.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 01(ერთი) წევრმა: ნ.ომანიძემ.

11.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022 წლის სამუშაო გეგმის შესრულების ანგარიშის შესახებ.

მომხს. ნ.აბეჩხრიშვილი
14.00სთ-დან -14.10სთ-მდე

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022 წლის სამუშაო გეგმის შესრულების ანგარიში მიღებულია ცნობად.

12.მოისმინეს: **„სხვადასხვა“**

1. **გ.გიგიტელაშვილმა** ისაუბრა ალაზნის საწყავ არხთან დაკავშირებით არსებულ პრობლემაზე და სოფელ კურდღელაურის ქუჩების რეაბილიტაციის აუცილებლობაზე.

აღნიშნულზე კომენტარი გააკეთა **თ.ხოსროშვილმა.**

2. ა.მჭელიშვილმა ისაუბრა ინტელექტუალური თამაშთან („რა? სად? როდის?“) დაკავშირებით და აღნიშნა, რომ კლუბი დამოუკიდებლად გააგრძელებს ფუნქციონირებას და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსება აღარ იქნება საჭირო.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი,
თავმჯდომარის პირველი მოადგილე

მამუკა ბურდიაშვილი